# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№15 (9.974)

8 - 15 მაისი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# ერიდეთ პანდემიას!

## სკეპტიციზმი პოზიციაა, სიცოცხლე კი - აუცილებელი!




პავლე ფერმერია. ის სოფლის მეურნეობას ათეული წლებია, მისდევს. 63 წლის ფერმერის ოჯახის წევრებმა კორონავირუსი ზამთარში გადაიტანეს. ის გადარჩა, მაგრამ მუდმივი შიში დასჩემდა. იმისი შიში, რომ ეს კორონავირუსი მასაც მიაკითხავდა. სახლში ვერ დაჯდებოდა, რადგან 80 ჰექტარი მიწა აქვს დასამუშავებელი და ფერმა მისახედი. ქრონიკული დაავადებაც აწუხებს - შაქრიანი დიაბეტი. ამიტომ, როგორც კი ვაქცინაციის პროცესი დაიწყო, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც სპეციალურად შექმნილ პორტალზე დარეგისტრირდა და აიცრა. ვაქცინაცია „ასტრა-ზენეკა“-თი ჩაიტარა. აცრა გართულებების გარეშე გადაიტანა. ახლა კოვიდ-19 მას ნაკლებად აშინებს და თავის მეურნეობასაც ყოველგვარი შიშისა და შფოთვის გარეშე უვლის.

სამწუხაროდ, ბევრი მასავით არ ფიქრობს. „ასტრა-ზენეკასადმი“ ნდობა ახალგაზრდა მედდის სიკვდილმა შეარყია. თან ანტივაქსერული მოძრაობაც საკმაოდ მძლავრია ჩვენს ქვეყანაში. ამასობაში საქართველოში პანდემიამ ისევ იფეთქა. სპეციალისტთა განმარტებით, მესამე ტალღის პიკზე ვიმყოფებით. კოვიდ სტატისტიკა კვლავ მძიმეა - დღეში საშუალოდ 1500 ინფიცირებული და 20-მდე გარდაცვლილი. მრუდიც, რომელიც კოვიდსტატისტიკის მაჩვენებელს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში განსაზღვრავს, არცთუ სახარბიელოდ გამოიყურება. სამაგიეროდ, კეთილსაიმედოდ გამოიყურება ვითარება იქ, სადაც ვაქცინაციამ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი მოიცვა. ამერიკის შეერთებულ შტატებში კოვიდგანყოფილებები, ფაქტიურად, ცარიელია. ბევრ შტატში იქ პირბადის ტარება ღია სივრცეში აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. ასეთივე ვითარებაა ისრაელშიც.

ვაქცინაციის პროცესი მას შემდეგ დაიძრა, რაც საქართველოში ჩინური ვაქცინა შემოვიდა. „სინოფარმით“ აცრა ბევრმა გადაწყვიტა, იმის მიუხედავად, რომ ის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას ჯერ არ ულიარებია.

საქართველოში, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კორონავირუსის ვაქცინაციის მსურველთა გასარკვევად შექმნილ სპეციალურ ვებგვერდზე, 7 მაისის მდგომარეობით, 76 781 მსურველია დარეგისტრირებული. მოქალაქეებს ჩამოთვლილი ვაქცინებიდან მაქსიმუმ სამის არჩევა შეუძლიათ.

მონაცემების მიხედვით, დარეგისტრირებულ მოქალაქეთა უმრავლესობას 70 823-ს „ფაიზერით“ ვაქცინაცია სურს. „მოდერნას“ ვაქცინით აცრის სურვილი 31 914 ადამიანმა გამოთქვა. 15 255 მოქალაქეს „ასტრაზენეკას“ გაკეთება უნდა, 9126-ს კი „ჯონსონი და ჯონსონი“ აირჩია. რაც შეეხება „სინოფრმით“ აცრას, მისი გაკეთების სურვილი 8607 - მა ადამიანმა გამოთქვა, 6134 მოქალაქეს „ნოვოვაქსი“ აცრა სურს, 1239-ს კი „სინოვაკით“.

დედოფლისწყაროში ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებით ხანგრძლივი პაუზა იყო. მაგრამ რამდენიმე დღის წინ ეს „უძრაობის ხანა“ დასრულდა. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მთავარი ეპიდემიოლოგის ლალი ალადაშვილის განცხადებით, „ვაქცინაციის პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად. საკმაოდ გაიზარდა მოთხოვნა. 20 მაისის ჩათვლით დაჯავშნილია ყველა ადგილი ვაქცინაციის მსურველების მიერ. მარტის თვეში აიცრა 10 პირი ასტრა ზენეკას ვაქცინით, შემდეგ დროებით შეჩერებული იყო ვაქცინაცია დედოფლისწყაროში და მსურველები იცრებოდნენ თელავში,თბილისში. განახლდა ჩვენთან ვაქცინაცია 4 მაისს. პირველივე დღეს აიცრა 14 ადამიანი, 5 მაისს - 17, დღეს ამ მომენტისთვის აცრილია - 19. დღის ბოლოსდე კიდევ დარეგისტრირებულია 23 პირი, მომდევნო რიცხვების ყოველი წუთი არის დაჯავშნილი 20 მაისამდე. აცრები მიმდინარეობს გართულებების გარეშე. ვაქცინაციის პროცესი ტარდება პროტოკოლის სრული დაცვით. მოსახლეობის ასეთი აქტიურობა იძლევა საიმედო პროგნოზს პანდემიასთან ბრძოლაში“.

ამ წერილს ამერიკაში მოღვაწე ექიმის ზურაბ გურულის სიტყვებით დავასრულებ, რომელიც პანდემიური დეონტოლოგიის დილემაზე საუბრობს: „კოვიდ-პანდემიამ კლინიკურ თავსატეხებთან ერთად სერიოზული წინააღმდეგობები შექმნა სამედიცინო დეონტოლოგიაში. დარწმუნებული ვარ, არაერთი შრომა მიეძღვნება ამ საკითხს. პანდემია კომპლექსური პრობლემაა და, შესაბამისად, კომპლექსური მორალური დილემებიც წარმოქმნა. როგორ უნდა მოიქცეს პროფესიონალი ექიმი ისეთ სიტუაციაში, როდესაც მის წინაშე მრავალუცნობიანი ეთიკური განტოლებაა? საიდან უნდა დაიწყოს ამოხსნა?

ყველაზე მართებული ალბათ მკურნალის მთავარი ეთიკური პრინციპის: - არ ავნო! - უზენაესობაა. ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვანია და სიტუაციის მიხედვით მოსარგები. თუ ამ პრინციპს ყველაფერზე მაღლა დავაყენებთ, მაშინ გასაგები ხდება, თუ რატომ შეაჩერა დროებით ამერიკამ ჯონსონის ვაქცინის გამოყენება, ისევე როგორც ევროპამ ასტრაზენეკასი. ვაქცინის მიერ გამოწვეული გართულებები ძირითადათ შეეხო ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც დიდი ალბათობით უპრობლემოდ გადაიტანდნენ კოვიდს, თუმცა ასპროცენტიანი ალბათობით ამის მტკიცებაც შეუძლებელია; და მაინც, ამ შემთხვევაში ვაქცინამ პოტენციურად ლეტალური გართულება გამოიწვია. სტატისტიკური უმნიშვნელობის მოშველიება აქ შეუძლებელია, რადგან უზენაესი ეთიკური პრინციპი უზენაესია. ვის წინაშე არის პასუხისმგებელი ინდივიდი-ექიმი? კაცობრიობის კეთილდღეობის, თუ ინდივიდი-პაციენტის, როდესაც იგი გადაწყვეტილებას იღებს?

ანტივაქსეროზა თავისთავად ანტიმეცნიერებაა, მაგრამ არის თუ არა ანტიმეცნიერება ვაქცინაციის აგრესიული ქადაგებაც? ნებისმიერი უკიდურესობა ანტიმეცნიერებაა, რადგან უკიდურესობა გამორიცხავს საწინააღმდეგო მოსაზრების დაშვებას. ოპონენტის ოპონირების გარეშე კი ვერცერთი სამეცნიერო ნაშრომის ოფიციალური აღიარება ვერ შედგება.

ერიდეთ უკიდურესობებს! უკიდურესობები ანტიმეცნიერებაა.“

***

„ვაქცინირებული ნიუ-იორკის მაიმონიდის ჰოსპიტლის “ემერჯენსი რუმის” (Emergency room) კოვიდის განყოფილებაში, სულ რამდენიმე თვის წინ, ორ რიგად იყო მიტყუპებული საწოლები, ისე, რომ გავლა ჭირდა. მეტიც, მაშინ კოვიდ განყოფილება არც არსებობდა, მთელი ჰოსპიტალი იყო ერთი დიდი კოვიდ კრიტიკული მედიცინის განყოფილება. დღეს ის ცარიელია. იმედია, მალე საქართველოშიც გვექნება ცარიელი კოვიდ განყოფილებები“ - წერენ ამერიკაში მოღვაწე ქართველი ექიმები და ამბობენ, რომ პანდემიის დამარცხების გზა ვაქცინაციაზე გადის.


ინგა შიოლაშვილი

ელზა ხარაშვილი



C M Y K

## ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ვაშლოვანში ინფო-ტური გამართა



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ქართული ტურისტული კომპანიებისთვის ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე ტური მოაწყო. ინფო-ტურში კერძო სექტორის 16 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

„ტურისტული კომპანიები საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, ჩიტოა - საქართველოს შემომყვან ტურ ოპერატორთა ასოციაციამ, GTA - საქართველოს ტურიზმის ასოციაციამ და ეკოტურიზმის ასოციაციამ შეარჩიეს.

ტურის ფარგლებში ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებისთვის ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე, კასრის წყალი და მიჯნის ყურე დაათვალიერეს, გაისეირნეს ცხენებით. ტურის მონაწილეებმა დაათვალიერეს სამუხის ველი.

ინფო-ტურის მიზანია შიდა და შემომყვანი ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შედარებით უცნობი ადგილები და ობიექტები დაათვალიერონ და მარშრუტების გათვალისწინებით ქართველი თუ უცხოელი ვიზიტორთათვის ტურისტული პაკეტები მოამზადონ“, - ნათქვამია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## პრაღის სკლენაკის გალერეაში გამოფენა “ქართული ეროვნული სამოსი“ გაიხსნა

საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, პრაღის “სკლენაკის” გალერეაში გაიხსნა გამოფენა “ქართული ეროვნული სამოსი”, რომელიც 30 მაისამდე გასტანს. ამის შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების პრესსამსახურის ცნობით, ექსპოზიციაზე წარმოდგენილია გამოჩენილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის ესკიზების ასლები და ასევე, ქართული ეროვნული კოსტუმები.

„გამოფენა ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. საელჩო განსაკუთრებულ მადლობას უხდის პრაღა 6 მერიის მრჩეველს სტრატეგიული განვითარების და ძეგლთა დაცვის საკითხებში ევა სმუტნას, საქართველოს ხელოვნების სასახლის გენერალურ დირექტორს გიორგი კალანდიას, ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საპატიო კონსულს ონდრეი სვობოდას და “ნაციონალური სამოსის სახლის” ხელმძღვანელს ეკატერინე ჯავახიშვილს მხარდაჭერისა და გამოფენის ორგანიზებაში შეტანილი წვლილისთვის“,-აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



## აპრილში FAO -ს ფასების ინდექსი კალათის ყველა პროდუქტზე გაიზარდა

FAO-ს ფასების ინდექსი, რომელიც სამომხმარებლო კალათის 5 ძირითადი პროდუქტის (რძე, მარცვლეული, მცენარეული ზეთი, შაქარი, ხორცი) საერთაშორისო ფასების ცვალებადობას ასახავს - აპრილში, გაიზარდა და 120.9 ქულა შეადგინა.

FAO-ს ცნობით, აღნიშნული ქულა, წინა თვის მაჩვენებელს 1.7%-ით, ხოლო 2019 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს - 30.8%-ით აღემატება. მათი ინფორმაციით, აპრილში, 3.9%-ით გაიზარდა შაქრის ფასების ინდექსი. როგორც FAO-ში განმარტავენ, აღნიშნული მონაცემი, 2020 წლის იმავე პერიოდის ნიშნულს თითქმის 60%-ით აღემატება.

„მატების ძირითად მიზეზად, ბრაზილიაში მოსავლის აღების პროცესში წარმოქნილი შეფერხებები და საფრანგეთში ყინვით დაზიანებული მოსავალი განიხილება. წინა თვის მსგავსად, ზრდის ტენდენცია შეინარჩუნა მცენარეული ზეთის ფასების ინდექსმა, რომელიც 1.8%-ით გაიზარდა. ფასების ზრდა, თითქმის ყველა სახის მცენარეულ ზეთს შეეხო, მათ შორის - სოიოს, მზესუმზირის და პალმის ზეთს. 1.7%-ითაა გაზრდილი ხორცის ფასების ინდექსი. ზრდა მეტწილად განპირობებული იყო აზიაში წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ხორცზე გაზრდილი მოთხოვნით. ზრდა არ შეხებია ფრინველის ხორცის ფასებს. 1.2%-იანი ზრდა აჩვენა, რძემ და რძის პროდუქტების ფასების ინდექსმა. განსაკუთრებული მოთხოვნის ფონზე, გაზრდილია: ყველის, კარაქისა და რძის ფხვნილის ფასების ინდექსი. მოიმატა მარცვლეულის ფასების ინდექსმაც, რომელმაც მარტის თქვეში 1.8%-იანი კლების ტენდენცია აჩვენა. მარტისგან განსხვავებით აპრილში, მარცვლეულის ფასები 1.2%-ით გაიზარდა. აღნიშნული მონაცემები, გასული წლის იმავე პერიოდს ნიშნულს, თითქმის 26-ით აღემატება. ზრდა ძირითადად სიმინდის ფქვილს შეეხო, რომლის ფასებიც 5.7%-ითაა გაზრდილი. ეს მონაცემი წინა წლის მაჩვენებელს - 66.7%-ით აღემატება“, - აღნიშნულია FAO-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## რა იქნება ხორბლის ფასი სუბსიდირების დასრულების შემდეგ, როგორია მსხვილი მეწარმეების პროგნოზი

ხორბლის გადამამუშავებელი მსხვილი საწარმოების წარმომადგენლების პროგნოზით, „ხორბლის ფქვილის სუბსიდირების“ სახელმწიფო პროგრამის დასრულების შემდეგ, პროდუქტზე ფასის ზრდა მოსალოდნელი არ არის.

როგორც გორში მდებარე ხორბლის გადამამუშავებელი საწარმო „კარმენის“ დირექტორი ზაზა ჯაფარიძე განმარტავს, ივლისიდან, როცა ხორბლის ახალი მოსავალი შემოვა, ფასი სავრაუდოდ, არსებულთან შედარებით დაბალი იქნება.

**„დღე-ღამის განმავლობაში 250 ტონა ხორბალს გადავამუშავებთ და ძირითადად, საქართველოს ყველა კუთხეს ვაწვდით. ხორბლის მარაგი ჩვენ ახალ სეზონამდე ანუ ივლისამდე გვაქვს აღებული, სუბსიდირების პროგრამა კი ივნისის ბოლომდე მიმდინარეობს. შესაბამისად, ფასი სუბსიდირებულ პურზე ივნისის ბოლომდე არ გაიზრდება.**

**რაც შეეხება 2021 წლის ივლისს, ამ პერიოდიდან უკვე ახალი მოსავალი შემოდის და ფასები ხორბალზე სავარაუდოდ, შედარებით დაბალი იქნება. ასევე, მნიშვნელობა აქვს, მსოფლიოს მასშტაბით როგორი მოსავალი იქნება. ჩვენი პროგნოზით, ფასები უნდა იყოს დაბალი და არათუ გაძვირება, არამედ პირიქით, გაიაფებაც შეიძლება იყოს მოსალოდნელი. თუ ხორბლის ფასი დაიწევს, რა თქმა უნდა, სუბსიდირება აღარ იქნება საჭირო“,** - განმარტა მან.

ხორბლის გადამამუშავებელი საწარმოს დირექტორის თქმით, პროდუქტზე ფასის შენარჩუნება მარაგების შექმნის ხარჯზეც შეძლეს.

**„გვჭირდებოდა, რომ ხორბალი შეგვეძინა და ახალ სეზონამდე მარაგი აგვეღო. 2020 წლის გაზაფხულიდან დავიწყეთ მარაგის საკუთარი სახსრებით შევსება, შემდეგ დაგვჭირდა თანხის დამატება და „საქართველოს ბანკმა“ გაგვიწია ფინანსური მხარდაჭერა. ჩვენი სახსრებითა და ბანკის დახმარებით მარაგის შექმნამ და სუბსიდირების პროგრამამ უზრუნველყო ის, რომ ხორბლის ფქვილზე ფასი არ გაიზარდა“,** - განმარტავს ზაზა ჯაფარიძე.

მარნეულის მუნიციპალიტეტში მდებარე ხორბლის გადამამუშავებელი საწარმოს მთავარი ფინანსისტის შაჰინ ბალაკიშიების პროგნოზითაც სუბსიდირების პროგრამის დასრულების შემდეგ ხორბლის ფქვილის ფასის ზრდა ნაკლებად სავარაუდოა.

**„ვფიქრობ, რომ სუბსიდირების პროგრამის დასრულების შემდეგ არ გაიზრდება ხორბლის ფასი, რადგან ამ პერიოდში ახალი მოსავალი იქნება როგორც რუსეთში, საიდანაც პროდუქციის ნაწილი შემოგვაქვს, ისე საქართველოში. ეს სერიოზულად იმოქმედებს ხორბლის ფასზე და მისი ზრდა მოსალოდნელი არ არის, შესაძლოა შემცირდეს კიდეც. ჩვენ წელს ვგეგმავთ, დაახლოებით 10 000 ტონაზე მეტი ადგილობრივი ხორბალი შევისყიდოთ მარნეულის, ბოლნისის, დმანისის მუნიციპალიტეტში, თეთრ წყაროსა და კახეთში მცხოვრები ფერმერებისგან, რომლებიც მოსავლის ჩვენთან ჩაბარებით არიან დაინტერესებულები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ხორბლის ყველაზე მსხვილი მომწოდებელი კახეთი, კერძოდ, წნორია.**

**ზოგადად, ჩვენი მიდგომა ასეთია: ახალი მოსავლის აღებისას ვიწყებთ შესყიდვებს როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე ექსპორტიორი ქვეყნისგან. აქედან გამომდინარე, რუსეთში მომწოდებლებს ავანსის სახით წინასწარ ვუხდით თანხას, რომ აგვისტო-სექტემბრის პერიოდში, როცა ხორბალი გაძვირდება, პროდუქტი ჩვენ დაბალ ფასად მოგვაწოდონ. ავანსის სახით რომ ექსპორტიორებისთვის თანხა ჩაგვერიცხა, მივმართეთ საბანკო კაპიტალს და „საქართველოს ბანკისგან“, რომელთანაც 2012 წლიდან ვთანამშრომლობთ, 10 მილიონი ლარის ოდენობით საკრედიტო ლიმიტი მივიღეთ. წინასწარ თადარიგის ამგვარად დაჭერა ხელს უწყობს ხორბალზე სტაბილური ფასის შენარჩუნებას“,** - განმარტავს კომპანიის მთავარი ფინანსისტი.

შეგახსენებთ, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, „ხორბლის ფქვილის სუბსიდირების“ სახელმწიფო პროგრამა 2021 წლის 30 ივნისამდე გრძელდება. პროგრამის ფარგლებში, ერთ 50 კილოგრამიან ტომარა პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილზე სუბსიდიის მოცულობა შეადგენს არაუმეტეს 20 ლარს. სუბსიდიის შედეგად, ბენეფიციარი ვალდებულია, ერთი 50 კილოგრამიანი ტომარა სუბსიდირებული პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილის რეალიზაცია არაუმეტეს 53 ლარად მოახდინოს

## იქმნება წამლის ეროვნული ლაბორატორია, თანხა ბიუჯეტიდან დაიხარჯება

საქართველოში წამლის ეროვნული ლაბორატორიის შექმნა ჯანდაცვის მინისტრმა რამდენიმე დღის წინ პარლამენტში გამოსვლისას დაანონსა. ეკატერინე ტიკარაძემ თქვა, რომ პროექტის განსახორციელებლად შესაბამისი ბიუჯეტი და ინფრასტრუქტურა უკვე მობილიზებული იყო.

თემასთან დაკავშირებით მეტი დეტალის გარკვევას bm.ge დღეს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილესთან შეეცადა. თამარ გაბუნიას ინფორმაციით, წამლის ეროვნული ლაბორატორიის ბაზისური ინფრასტრუქტურისთვის საჭირო თანხა 3 მლნ დოლარია.

**„წამლის ხარისხის ლაბორატორია წელს მთავარი პრიორიტეტია და სახელმწიფოს ხარჯებით შეიქმნება. რა თქმა უნდა, გვაქვს შესაძლებლობა, რომ გამოვიყენოთ სხვა რესურსიც, ვგულისხმობ მიმდინარე სასესხო ხელშეკრულებებს. კერძოდ, შესაძლებელია, „ევროპის საინვესტიციო ბანკთან” თანამშრომლობის ფარგლებში, ლაბორატორიის აღჭურვის საკითხი განვიხილოთ, თუმცა პირველ ეტაპზე სამედიცინო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის ნაწილში განვიხილავთ ინფრასტრუქტურული ინვესტიციის საკითხს, რათა წამლის ხარისხის ლაბორატორია უმოკლეს ვადებში შეიქმნას. ვფიქრობ, ამას დიდი დრო არ დასჭირდება და მომავალი წლისთვის უკვე გამართული წამლის ლაბორატორია გვექნება”,** - განაცხადა თამარ გაბუნიამ.



# ქართული პოლიტიკური ავანსცენა და ახალი მოთამაშე

***ქართული პოლიტიკური სპექტრი სანახაობებს არ გვაკლებს. ოპოზიციური განხეთქილების შემდეგ პოლიტიკურ ველზე ახალი მოთამაშე ჩნდება.***

ქართულ პოლიტიკურ ფლანგზე ახალი მოთამაშე ბიზნესმენი ლევან ვასაძე გამოდის. როგორც მან საზოგადოებას ამცნო, პოლიტიკაში შემოსვლის გადაწყვეტილება მიიღო. მის ორგანიზაციას "ერთობა, რაობა, იმედი" ერქმევა. ბიზნესმენმა ახალი ორგანიზაცია შემოკლებით "ერი" დააფუძნა. ვასაძემ პოლიტიკურ გეგმებზე "თბილისი მარიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა და თქვა, რომ მან საკმაოდ მძიმე, მაგრამ საჭირო გადაწყვეტილება მიიღო. რატომ მიიღო ბიზნესმენმა ეს გადაწყვეტილება და ვისთან ერთად შეიძლება ის ვიხილოთ, ჯერჯერობით უცნობია. არსებობს ვერსიები, რომ ის შესაძლოა მომღერალ "უცნობთან" იგივე გია გაჩეჩილაძესთან ერთად გამოჩნდეს.

ვასაძესთან ერთად პოლიტიკურ ასპარეზზე ყოფილ პრემიერს გიორგი გახარიასაც ელიან. ვინ ვისი კონკურენტი იქნება და რა გავლენას მოახდენენ ისინი პოლიტკურ ველზე, ჯერ უცნობია. თუმცა ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ვასაძე არ არის იმ დონის ფიგურა, რომელმაც შეიძლება პოლიტიკურ ცხოვრებაში რამე ცვლილება შემოიტანოს. მას ჰყავს თავისი მიზნობრივი აუდიტორია და ელექტორატი, რომელთა შორის კონკურენტებიც კი არიან. **„მივიღე ჩემთვის, პირად ჭრილში მძიმე გადაწყვეტილება, რომ დავემშვიდობო ჩემთვის საყვარელ კერძო პირის მდგომარეობას და შემოვიდე ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩემი გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი არის, პერმანენტული კრიზისის პირობებში, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, კულტურული და იდეოლოგიური",-** აცხადებს ლევან ვასაძე. ის ფლობს მრავალმილიონიან ბიზნესებს რუსეთსა და საქართველოში. საზოგადოების ნაწილი მას „პრორუს ბიზნესმენადაც" მოიხსენიებს.

ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ ოფიციალურად განაცხადა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ, თუმცა პირველ საჯარო პრესკონფერენციაზე მას არ დაუკონკრეტებია, ვისთან ერთად აპირებს პოლიტიკურ ბრძოლას. ჟურნალისტების კითხვას, ვიხილავთ თუ არა მომღერალს და შოუმენს, გია გაჩეჩილაძეს (უცნობი) მის პარტიაში, ვასაძე პასუხობს, რომ ამ საკითხზე გაჩეჩილაძესთან კომუნიკაცია არ ჰქონია. ბიზნესმენი ადასტურებს, რომ „უცნობი" მისი მეგობარია, პატივს სცემს მის საქმიანობას, თუმცა ამ საკითხზე მათ შორის საუბარი არ შემდგარა.

ვასაძის გადაწყვეტილებას მმართველი გუნდი ეხმაურება - „ქართულ ოცნებაში" თვლიან, რომ **„ნებისმიერ პირს აქვს უფლება და შესაძლებლობა პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერთოს. რაც შეეხება მის შანსებს, ამას, მათი თქმით, არჩევნები აჩვენებს. "ჩვენ ვცხოვრობთ დემოკრატიულ სახელმწიფოში. თუკი ვინმეს რამე სახის პოლიტიკური ამბიცია გააჩნია, ამ ყველაფრის პასუხი იქნება არჩევნებზე გაცემული",** - განაცხადა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით მათიკაშვილმა. ოპოზიციის წევრები ამბობენ, რომ ლევან ვასაძე არის პრორუსი და რუსული ინტერესების გამტარებელი, ამიტომ მას მაღალი შანსები ქართულ პოლიტიკაში არ აქვს.

**„პრორუს ადამიანებს და პოლიტიკოსებს და დეკლარირებულ რუსულ აგენტურას, რაც ნაკლები მხარდაჭერა ექნება საქართველოში, ვიქნები ამით უფრო ბედნიერი. ვასაძე არც მალავს, რომ კრემლზე ამოსდის მზე და მთვარე და ღიად ქადაგებს პრორუსულობას და იმას ლაპარაკობს, რაც რუსებს აწყობთ"**, - აცხადებს პარლამენტის წევრი და „მოქალაქეების" ლიდერი ალეკო ელისაშვილი. იგივე პოზიციას იზიარებენ „სტრატეგია აღმაშენებლის" პოლიტსაბჭოს წევრი პაატა მანჯგალაძე და "ევროპული საქართველოს" რეგიონული მდივანი ლაშა დამენიაც. ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე ამბობს, რომ ლევან ვასაძის პოლიტიკაში შემოსვლა მოულოდნელი არ ყოფილა. ის, როგორც სამოქალაქო პირი, ადრეც აქტიურობდა, ამიტომაც მისი გადაწყვეტილება გასაკვირი არ უნდა იყოს. რაც შეეხება იმას, იქნებიან თუ არა ის და უცნობი, იგივე გია გაჩეჩილაძე ერთად, ძაბირაძე ამბობს, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცის, თუმცა ერთმანეთის კონკურენტები ნამდვილად იქნებიან".

ძაბირაძის მოსაზრებით, ვასაძის პოლიტიკაში შემოსვლა რეალურად ვერაფერს ვერ შეცვლის. იქნებიან ადამიანები, რომლებიც მას ხმას მისცემენ, მაგრამ ეს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში არაფერს ნიშნავს. ძაბირაძე ამბობს, რომ მისი ამომრჩეველი ძირითადად პრორუსული ორიენტაციის ამომრჩეველია, რომელიც ნაციონალური და პატრიოტული განცხადებებით გამოირჩევიან.



**„მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებამდე ხუთი თვით ადრე, ბიზნესმენი ლევან ვასაძე პოლიტიკაში მოსვლის შესახებ აკეთებს განცხადებას და აფუძნებს საზოგადოებრივ მოძრაობას "ერთობა, რაობა, იმედი", რომელიც დიდი ალბათობით მომავალში პოლიტიკურ მოძრაობად გარდაიქმნება. პოლიტიკურ ველზე მეორედ გამოჩენას ოპოზიციისგანაც და ხელისუფლებისგანაც საკმაოდ ხისტი შეფასებები მოჰყვა. ვასაძემ მოძრაობის დაფუძნებაზე განცხადება "თბილისი მარიოტში" სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. "ძირითად მიზეზად მოგვევლინა ის ფაქტი, რომ ქვეყანა შესულია პერმანენტული კრიზისის პირობებში, როგორც პოლიტიკური,ეკონომიკური, ისე კულტურული, სოციალური,იდეოლოგიური თვალსაზრისით",** - აცხადებს ვასაძე. რაც შეეხება ბიზნესმენის სამომავლო გეგმებს, მოძრაობა "ერთობა, რაობა, იმედი" 16 მაისს, 9 აპრილის ბაღში აქციას გამართავს. აქციის ჩატარებამდე კი თავად საქართველოს სხვადასხვა რეგიონს მოივლის და მოსახლეობასთან შეხვედრებს გამართავს.

„ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობა აპირებს 16 მაისს ჩაატაროს საჯარო აქცია. აქციის ადგილად გვინდოდა პარლამენტის წინ, თუმცა იქ პერმანენტული კარვების ქალაქია გაშლილი, რომელიც ხელოვნურად შექმნეს "ნაცებმა" და "ქოცებმა". ხალხში ტყუილად არ არის გაჩენილი ტერმინი - ნაცქოცები და ჩვენმა ხალხმა ძალიან კარგად დაინახა, რომ ეს ორი ძალა თეატრალურად ერთმანეთს ებრძვის, მაგრამ იდეოლოგიურად ერთმანეთის მკვებავია. ჩვენ ძალიან დიდი გუნდი გვყავს, ამ დღეებში წარმოვადგენთ მის ბირთვს 10-15 კაცს, თუმცა ასობით თანამოაზრე გვყავს. ეს არიან პოლიტიკური ექსპერტები, იურისპრუდენციის და ეკონომიკის ექსპერტები. დომხალში გაუსვრელი და პატიოსანი ხალხი, რომელთაც საქართველოში დიდი ავტორიტეტი აქვთ. ზეგიდან მოგზაურობას დავიწყებ საქართველოში, დავიწყებ მესტიიდან, მერე ზუგდიდი, სენაკი, გურია, ქართლ-კახეთი. 16 მაისამდე რამდენსაც მოვასწრებ, ვივლი", - აღნიშნა მან. ვასაძეს მიაჩნია, რომ საქართველო საპრეზიდენტო მმართველობას უნდა დაუბრუნდეს", - აღნიშნავს გამოცემა.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველო უნდა დაუბრუნდეს საპრეზიდენტო მმართველობას, ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული, ძლიერი უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტის ინსტიტუტს. რა თქმა უნდა, არსებობს საფრთხე, რომ ის გადაიქცეს ისეთ ტირანად, როგორადაც იქცა მიხეილ სააკაშვილი, თუმცა თუ არ გაქვს ასეთი ინსტიტუტი, მაშინ გარანტირებულად გაქვს ის ქაოსი, რომელშიც ჩვენმა მრჩევლებმა შეგვაგდეს ახლა", - ამბობს ბიზნესმენი.

**მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

# მომავალი წლიდან ავტომობილების ტექდათვალიერების კრიტერიუმები გამკაცრდება

***საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილებიდან ტექნიკური დათვალიერება ნახევარზე ცოტა მეტმა გაიარა. პროცესის დაწყებიდან 2 წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საქართველოში რეგისტრირებული 1 300 000 მეტი მანქანიდან თითქმის ნახევარი საერთოდ არ გამოცხადებულა ინსპექტირების ცენტრებში. გამოდის, რომ საკმაოდ დიდმა ნაწილმა, უბრალოდ, თავი აარიდა ტექდათვალიერების პროცესს და პარალელურად უამრავი რეგისტრირებული მანქანა, უბრალოდ, ჯართია. ტექინსპექტირება ავტომობილების წელიწადში ორჯერ შემოწმებას ითვალისწინებს, მაგრამ აშკარაა, რომ მათი უმეტესობა ხშირად პირველად დათვალიერებასაც კი ვერ გადის.***

მანქანების ნაწილში, რომელთაც ტექდათვალიერებისთვის ცენტრებს მიმართეს, განმეორებითი ინსპექტირების დროს, ზოგის შემთხვევაში ხარვეზი გამოსწორებულია, ზოგის შემთხვევაში კი - არა. მართალია, ავტომობილებს აქვთ პრობლემები და მოსაწესრიგებელია, თუმცა საგულისხმოა, რომ თავად სფეროც მოუწესრიგებელია. როგორც დარგის სპეციალისტი, ვაჟა იორდანაშვილი აღნიშნავს, ტექინსპექტირების მოთხოვნდები ისედაც მკაცრია, მომავალი წლიდან კი, გამონაბოლქვის კონტროლის კომპონენტი გამკაცრდება და ასევე მოთხოვნილი იქნება, რომ კატალიზატორმა გამართულად იმუშაოს.



**„აპრილის და მაისის თვეეში მიმართვიანობა ცენტრებში საგრძნობლად შემცირებულია. შარშან, პანდემიის პირობებში, 21 ივლისამდე ინსპექტირების ვადა გადავადდა. შესაბამისად, ავტომობილებმა დათვალიება გაიარეს ივლისის შემდეგ. ფაქტობრივად, ახლა, ვისაც ტექინსპექტირების გავლა უწევდა, ძალიან ცოტაა მათი რიცხვი, რადგან შარშან ხომ ვადამ გადაიწია. შეიძლება ითქვას, მხოლოდ ახალრეგისტრირებული ავტომობილები მიდიან. აქედან გამომდინარე, მიმართვიანობა მკვეთრად არის შემცირებული. ამ ეტაპზე მოთხოვნები ისედაც საკმარისად მკაცრია. 2022 წელს კი დამატებით, გამონაბოლქვის კონტროლი მკაცრდება და მოთხოვნილიიქნება კატალიზური კონვერტორის გამართული მუშაობა, შესაბამისად, მომავალი წლიდან ტექინსპექტირების გავლა საკმაოდ გართულდება. განმეორებითი ინსპექტირების დროს, როგორც წესი, ავტომობილი გამართულია. როდესაც პირველი შემოწმების დროს, მანქანა ხარვეზდება, შემდეგ შემოწმებაზე უკვე გამოსწორებული ხარვეზით მოდიან",** - აცხადებს ვაჟა იორდანაშვილი.

კატალიზატორი, საბურავები, საქარე მინები, სამუხრუჭე სისტემა, ფარები - ეს დეტალების ის მცირე ჩამონათვალია, რაც სავალდებულო ტექდათვალიერებამდე მძღოლს წესრიგში უნდა ჰქონდეს. მომავალი წლიდან კი, ინსპექტირებაში ცვლილება შედის და ავტომობილების დათვალიერებისას გავლისას დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოუწევთ. კოალიცია "საზოგადოებრივი ინიციატივას" წარმომადგენელი, ტრანსპორტის სფეროს სპეციალისტი ვასო ურუშაძე აცხადებს, რომ ტექნიკური ინსპექტირება მხოლოდ ფორმალურად არსებობს და მძღოლები შემოწმებისთვის სხვაგვარად ემზადებიან.

"ჩვენ, სამოქალაქო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები წლებია ვაწარმოებით ადვოკატირებას, ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების რეფორმის საჭიროებიდან გამომდინარე, რომ ქვეყნააში აღდგენილიყო ინსპექტირება. ერთი მხრივ, ეს იყო გამოწვეული ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების ვალდებულებებით და მეორე მხრივ, იმით, რომ ქვეყანაში ძალიან ცუდი მდგომარეობაა საგზაო მოძრაობის უსაფრთხეობის კუთხით. სამწუხაროდ, ევროპის მასშტაბით ვართ მოწინავე სახელმწიფო გზებზე სიკვდილიანობით და ასევე ეკოლოგიური მდგომარეობა ქვეყანაში ძალიან ცუდია. ამიტომ ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ ტექდათვალიერება შესულიყო ძალაში, თუმცა, სამწუხაროდ, ცუდი შედეგი მივიღეთ", - ამბობს ვასო ურუშაძე.

**„რადგან ტექნიკური ინსპექტირება პერიოდულია, მძღოლები კონკრეტული დღისთვის ემზადებიან. ქირაობენ საბურავებს, კატალიზატორს, საქარე მინებსაც კი. ანუ, ტექინსპექტირება არააფექტურია, სახეზეა ფორმალური ტექინსპექტირება, რომელიც რეალობას არ ცვლის, ფორმალურად არსებობს. მძღოლები ერთი დღისთვის აწესრიგებენ ავტომობილებს. ამაში იხდიან კონკრეტულ გადასახადს. საბოლოო ჯამში კი, მდგომარეობა არ იცვლება",** - დაასკვნის ვასო ურუშაძე.

# პატრიარქის საააღდგომო



***ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,***

ქრისტე აღდგა!

„არა ყველა, ვინც მეტყვის მე: უფალო, უფალო ! —

შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც

აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნებას“ (მთ, 7,21).

კვლავ დადგა ჟამი დიდებული, – აღდგა უფალი ძალითა ძლიერი, რომელმაც სრულად შეცვალა სამყარო და განაცხოველა იგი.

მთელს დედამიწაზე ხარობს ეკლესია და მისი შვილნი, რადგან ამიერიდან „სამოთხე განღებულ არს და სიკუდილისა ბჭე დახშულ არს. პირველქმნილი ადამი კუალად განახლებულ არს და სამოსელი უკუდავებისა შემოსილ არს“ (იადგარი). დღეს ერთად შერცხვნენ ეშმაკი და სიკვდილი, გაცოცხლდნენ წინასწარმეტყველნი და ელხინათ მართლებს ... „მაშ, გლოვის სამოსელი განიძარცვე და სიხარულის სამკაულით მოირთე, წმინდა ქალაქო” (წმ. მელეტი ანტიოქიელი).

**ქრისტე აღდგა!**

**გიხაროდეს ქალწულო, რამეთუ შენგან და შენ მიერ იშვებენ ყოველნი კიდენი ქუეყანისანი.**

**გიხაროდენ, ერნო, ჭაბუკნო და ასულნო, მოხუცებულნო ყრმათა თანა, რამეთუ მიზანი ბოროტისა განქარვებულია და მახენი ეშმაკისა - გაშიშვლებული.**

გიხაროდეს, შენც, მიწავ და ზეცავ, მთაო და ზღვაო, და ყოველნო მყოფნო მათ შინა; შემოდის დღე – სასწაული, დღე – მაცხოვნებელი, დღე – გადამრჩენელი! ამიტომაც ვხმობთ: გუშინ თანა-ჯვარსვეცმოდი ქრისტესთან, დღეს თანა-ვიდიდები; გუშინ თანა-მოვკვდებოდი, დღეს თანა-ცხოველვიქმნები; გუშინ თანა-დავეფვლოდი, დღეს თანა-აღვდგები (წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი).

აღდგომა ქრისტესი გვაზიარებს მის მიერ სიკვდილის ძლევის უდიდეს სიხარულთან, რაც ჩვენს პირად უკვდავებასაც უკავშირდება, რადგან „თუ სიკვდილის მსგავსებით თანაშეზრდილნი ვართ მასთან, აღდგომითაც მას ვემსგავსებით“ და როგორც ქრისტე აღდგა მკვდრეთით, ასევე ჩვენც იმსოფლად განახლებულ სიცოცხლეში ვივლით” (რომ. 6,5–4)

განახლებული ცხოვრება კი დედამიწაზევე უნდა დავიწყოთ, რომ „სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან განგვათავისუფლოს“ (რომ. 8,2).

სიკვდილი არის საიდუმლოებით მოცული კარიბჭე, რომლის შეღებისთანავე სულისთვის იწყება მარადული ცხოვრება, თუმცა მაინც არასრული; შემდეგ კი მოაწევს ჟამი, როცა მიცვალებულნი შეიმოსავენ განახლებულ სხეულს და „კეთილისმოქმედნი გამოვლენ სიცოცხლის აღდგომისთვის, ხოლო ბოროტისმოქმედნი, - განკითხვის აღდგომისათვის“ (ინ. 5,28-29).

თუ ქრისტემდე სიკვდილი მოიწეოდა ყველაზე, - მორწმუნეზეც და ურწმუნოზეც, იუდეველზეც და წარმართზეც, ასევე მთელ სამყაროზე, -მეორედ მოსვლის შემდეგ აღარ იარსებებს არც სიკვდილი და არც ხრწნილება და უფალი ყველას და ყველაფერს აღადგენს პირვანდელ მდგომარეობაში და სამართლიანობით მიაგებს ყველას მარადიულ ადგილ-სამყოფელს.

როგორი იქნება ჩვენი ხვედრი გარდაცვალების შემდეგ, ან საყოველთაო აღდგომისას, როდესაც მაცხოვარი კეთილსა და ბოროტს მარადიულად განაცალკევებს და გამიჯნავს?

* * *

ღმერთმა თავისი მეფობა სიყვარულით შექმნილ მთელ კოსმოსზე განავრცო და ადამიანი, რომელიც თავის თავში მთელი ამ სამყაროს მომცველია, განმგებლად დაადგინა, რათა მისი სამეფოსთვის ღირსეულად ეწინამძღვრა და ყველა და ყველაფერი, როგორც თავისი ნაწილი, უფლის მსგავსად, სიყვარულით ემართა.

ბიბლია გვასწავლის, რომ ჩვენმა პირველმშობლებმა და მათმა შთამომავლებმა, საღვთო დიდებიდან დაცემის შემდეგ, მრავალი პირვანდელი თვისება დაკარგეს და დედამიწაზე ცხოვრების გაგრძელება მადლისგან გაღარიბებულ გარემოში მოუხდათ;

მიუხედავად იმისა, რომ ბოროტი ძალისგან მოწევნულ ასეთ დიდ დაბრკოლებას მეტად მძიმე შედეგები მოჰყვა, ადამიანში, დარჩა ხატება ღვთის და სამოთხისეული ისეთი სათნოებები, როგორიცაა: სიყვარული, რწმენა, ერთგულება, სამართლიანობა, მეგობრობა, სიკეთე, წესრიგი, იერარქია; ეს ფასეულობები სრულიად არამატერიალურია, ამასთან ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველასთვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი.

აღნიშნულ ღირებულებებს ითვალისწინებს და მათ ემყარება ნებისმიერი მიწიერი მეფობაც და მისი გამოვლინებაც ამა თუ იმ სახელმწიფოს სახით (თუნდაც მკვეთრად ათეისტური სულისკვეთებისა), რის გამოც იგი ზეციური ხელმწიფების თავისებურ აჩრდილს წარმოადგენს;

ამიტომაც ხელისუფლება რამდენადაც ხელს შეუწყობს სულიერების აღორძინებას, მით უფრო განმტკიცდება ქვეყანა. ყველასთვის ნათელი მაგალითი ამისა არის წმ. დავით წინასწარმეტყველის ხანა.

ქრისტეს აღდგომის შემდეგ, ცათა სასუფეველი ამქვეყნად ხილულად განცხადდა. იგი სხვადასხვა ხარისხით ვლინდება მორწმუნეთა სულსა და მათ ცხოვრებაში; მეორედ მოსვლის შემდეგ კი სრულიად განმსჭვალავს ყოველივეს, - ხილულსაც და უხილავსაც.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ წარმავალ სოფელში ვცხოვრობთ, თუ დავიცავთ ზეციური მეუფის, მაცხოვრის, კანონებს, შევძლებთ ამქვეყნადვე გავხდეთ ცათა სასუფევლის მოქალაქენი, რათა, გარდაცვალების შემდეგ, დავიმკვიდროთ იგი და მარადიულად ღვთის დიდებაში დავრჩეთ, განურჩევლად იმისა, რომელ ქვეყანაში ვმკვიდრობთ და რა ეროვნებისანი ვართ.

რა პირობები უნდა შევასრულოთ ამისთვის?

ნებისმიერი სახელმწიფო საზოგადოების თითოეული წარმომადგენლისგან ითხოვს ერთგულებას, მოვალეობისადმი პასუხისმგებლობას, ომის დროს კი თავდადებასაც;

ბუნებრივია, ღვთის საუფლოს მკვიდრობის მსურველთ მეტი ერთგულება და თავგანწირვა გვმართებს, რადგან ჩვენ მუდმივი ბრძოლის ქარ-ცეცხლში გვიწევს ყოფნა და ომი გვაქვს „არა სისხლთა და ხორცთა, არამედ... ცისქვეშეთის უკეთურ სულთა წინააღმდეგ“ (ეფ. 6.12).

ამასთან, ღვთის სამეფოს მოქალაქეებისთვის მთავარი მიზანი ჭეშმარიტი სიყვარულით სავსე მარადისობაა და არა ამსოფლიური კეთილდღეობა. უფლისგან მოცემული მცნებებიც ამ მარადისობის გზამკვლევია და განსხვავდებიან მიწიერი კანონებისგან; თუმცა საღვთო მოშურნეობის მქონე ქრისტიანისთვისაც კი ჩვეულებრივი მიწიერი ყოფა და, აუცილებლობიდან გამომდინარე, მატერიალურზე ზრუნვა უცხო არ არის; იგი სულიერ და მიწიერ ფასეულობებს შორის უპირატესობას, რა თქმა უნდა, პირველს ანიჭებს და იცავს პრინციპს: „მიეცი კეისარს კეისრისა და ღვთისა ღმერთსა“ (მთ. 22, 15,22), რაც ნიშნავს იმას, რომ კეისარს (ანუ მიწიერ ხელისუფალთ) უნდა მივაგოთ საკადრისი პატივი, მაგრამ არა ისეთი, როგორიც - ღმერთს.

ამასთან, ღრმადმორწმუნე ქრისტიანმაც შეიძლება დაუშვას გარკვეული შეცდომები, ვერ გაუმკლავდეს გამოწვევებს, გამოიჩინოს სულმოკლეობაც ... მაგრამ არ უნდა შეშინდეს, რადგან „არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს“, მაგრამ მან სინანულით, აღსარებითა და ზიარების მადლით უნდა უწამლოს თავის სულიერ იარებს და, ღვთის იმედით, კვლავ უშიშრად განაგრძოს ცხოვრების გზა.

**იესო ქრისტეს მიერ მოცემული ძირითადი პირობა-აღთქმანი კი ასეთია:**

„გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით“ (მთ. 22.37–39; მრკ. 12.29–31)

„შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მრკ. 12,31) და „ როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე გიყვარდეთ თქვენც ერთმანეთი“ (ინ.13,34).

„გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“ (მთ.5,44)

„თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებებიც დაიცავით, ხოლო თუ ჩემს მცნებებს დაიცავთ, ჩემს სიყვარულში იქნებით“ (ინ.14,15)

**რა იგულისხმება საკუთარი თავის სიყვარულში?**

ქრისტიანული გაგებით, საკუთარი თავის სიყვარული, პირველ რიგში, ნიშნავს ჩვენს მუდმივ ზრუნვას საკუთარ თავზე, რათა შევძლოთ ცოდვით დაცემული შინაგანი სამყარო განვიწმინდოთ, ეგოიზმის, შურის, ღვარძლისა და ბოროტებისაგან გავათავისუფლოთ და სულში ღვთის ხატება და მსგავსება აღვიდგინოთ და ავაღორძინოთ; ამისთვის კი მთელი არსებით უნდა ვილვაწოთ, რადგან ამქვეყნად სწორედ ესაა ჩვენი დანიშნულება, ჩვენი სიცოცხლის აზრი.

საკუთარი თავის სიყვარული, ასევე, ნიშნავს იმას, რომ, უფლის მსგავსად, თავგანწირული, უშურველი სიყვარულით შევიყვაროთ მოყვასი, ვიყოთ თანამდგომნი, და მისი წარმატებით ვხარობდეთ; განსაცდელის ჟამს კი, - ძალისამებრ ჩვენისა დავეხმაროთ;

მოყვასი ჩვენსავით ღვთის ხატად არის შექმნილი და, ამდენად, ნაწილია ჩვენიც და უფლისაც; მისდამი ჩვენი დამოკიდებულება კი ღვთისადმი ჩვენს დამოკიდებულებას წარმოაჩენს.

აი, როგორ ბრძანებს მაცხოვარი: „რადგან მშიოდა და მომეცით საჭმელი, მწყუროდა და მასვით მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ, შიშველი ვიყავ და შემმოსეთ, სნეული ვიყავ და მომხედეთ, საპყრობილეში ვიყავ და მომინახულეთ, ჭეშმარიტად, გეუბნებით თქვენ: რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ” (მთ.25, 35–36,40).

ღმერთთან და მოყვასთან ერთობის სულით არის განმსჭვალული საუფლო ლოცვაც. ამიტომაც ვამბობთ: „მამაო ჩვენო“ და არა „მამაო ჩემო“, ან „მოგვიტევე ჩვენ“ და არა „მომიტევე მე“. და როცა მას წარმოვთქვამთ, ეს უნდა გავაცნობიეროთ და აუცილებლად გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ლოცვა ლოცვად შეირაცხოს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამა თუ იმ ადამიანმა შეიძლება შეგვცოდოს და უსამართლოდ გული გვატკინოს, მაგრამ თუ სათანადო სინანული ექნება და ამას გამოხატავს,- უნდა შევუნდოთ.

ვისაც მოყვასისადმი ასეთი დამოკიდებულებები არა აქვს, მტრობს საკუთარ თავს, რადგან ჭეშმარიტი სიყვარულის ვერშემცნობია და ღვთის ნების წინააღმდეგი.

როგორ უნდა მოვექცეთ მათ, ვინც ჩვენ გვმტრობს?

ვინაიდან უფალს მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა ზედა და აწვიმებს მართალთაც და უსამართლოთაც (მთ.5,45), ჩვენ, თუ საკუთარი თავი გვიყვარს და ღვთისშვილობა გვსურს, მაცხოვრის მსგავსად, უნდა მოვექცეთ ჩვენს მოძულეს, ანუ გულწრფელი სიყვარული ვაჩვენოთ, სიკეთე მივაგოთ, მისთვის ვილოცოთ და ბოროტებაზე ბოროტებით არ ვუპასუხოთ; ოღონდ, როგორც მოყვასთან მიმართებაში, ამ შემთხვევაშიც, უნდა გავემიჯნოთ მის ცოდვებსა და უსჯულოებებს;

ხოლო თუ ეკლესიისა და მოყვასის მიერ სინანულისკენ მომწოდებელი არაერთგზისი შეგონებანი არ იქნება მისგან შესმენილი, უნდა განვეშოროთ მას, „როგორც მეზვერესა და წარმართს“ (მთ.18,17-18).

ღვთის რჩეული ერი წარმართს აღიქვამდა, როგორც ეთნიკურად სრულიად უცხოს და სარწმუნოებრივადაც, - შეუწყნარებელს; ხოლო მეზვერეს (გადასახადების ამკრეფს), - საკუთარი ერის საზიანოდ წარმართთა ინტერესების გამტარებელს.

ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ასეთი ადამიანი თავისი უსიყვარულობით ღვთის გარეგანი ხდება.

* * *

სულ სხვა წესებს ემორჩილებიან და სხვაგვარად აზროვნებენ ისინი, რომელთაც სულიერი თვალი დახშული აქვთ და არც ღვთისა სწამთ და არც - მისი აღდგომისა.

მათ შესახებ წმინდა გრიგოლ ნოსელი ასე წერს:

თუკი არ არსებობს აღდგომა და სიკვდილით სიცოცხლე მთავრდება, დაუბრკოლებელი თავისუფლება ეძლევა კაცის მკვლელს; დაე, მეძავმა კადნიერად ხლართოს ბადეები ქორწინების წინააღმდეგ და მომხვეჭელნი ფუფუნებას მიეცნენ სხვათა დაჩაგვრის ხარჯზე... ნურავინ შეაჩერებს მაგინებელსა და ბილწის მთქმელს; დაე, ფიცის დამრღვევი მუდამ იფიცებდეს ტყუილად; დაე, იცრუონ, რამდენსაც ინებებენ, რადგან არავითარი სარგებელი არ არის ჭეშმარიტებისაგან...

და ასკვნის:

ამგვარი მსჯელობა სულს ამღვრევს და წარღვნამდელზე უარესი უწესრიგობა მოაქვს; თუ არ არის აღდგომა, არ არის უფლის სამსჯავროც; თუ უარყოფილია სამსჯავრო, უარყოფილია ღვთის შიშიც; ხოლო სადაც არ არის მოკრძალებული შიში ღვთისა, იქ ზეიმობს ეშმაკი.

ასე იყო მუდამ, როცა ურწმუნოება მძლავრობდა ხალხში.

*/გაგრძელება გვ.5/*

# ეპისტოლე

/დასაწყისი გვ.4/

ეს დღესაც ასეა, ოღონდ უფრო რთული ვითარება გვაქვს და თუ რატომ, მოკლედ შემდეგს ვიტყვით:

ნებისმიერი პიროვნება რომ არ არის სრულყოფილი, ამას, ჩვენს მსგავსად, ურწმუნონიც აცნობიერებენ, მაგრამ, ღმერთთან კავშირისა და სულიერი განწმენდის ნაცვლად, ისინი ამჟამად ისეთ ყოფას გვთავაზობენ, სადაც ერთი მხრივ, დომინანტური ფუნქცია ექნება რობოტებს, მეორე მხრივ კი, ადამიანის არასრულფასოვნებას, ხელოვნური ინტელექტი "შეავსებს".

ამავე დროს, ათეისტური თანამედროვე აზროვნება სხვა რეალობის შესაქმნელად ემზადება და ცდილობს ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტური პრინციპების გადახედვას, რათა თვითნებური მოდელირების გზით წაშალოს ზღვარი ნამდვილსა და წარმოსახვითს, ადამიანურს, მექანიკურს, ცხოველურსა და ქიმერულს შორის და კონტროლისა და ძალაუფლების ახალი, აქამდე უცნობი ფორმები დაამკვიდროს.

ფილოსოფოსები საზოგადოების განვითარების ამ პერიოდს პოსტ-ჰუმანისტურს უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ მიზანმიმართულად ხდება ზოგადად არსებული ნორმების რღვევა, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სტრუქტურების დაკნინება, განათლების დონის დაცემა, სიღმისეული აზროვნებისთვის საფუძვლების მოშლა; „კრიზისული წესრიგის“ ფონზე კი ხელი ეწყობა ისეთი შემეცნების ჩამოყალიბებას, სადაც ეროვნული გრძნობები გამქრალია, სიყვარული, სიკეთე, სამართლიანობა... გაყალბებული, პიროვნების იდეალი - უპერსპექტივო და გაუფერულებული; წაშლილია ადამიანობის განმსაზღვრელი ტრადიციული იდენტობები: „მამაკაცი“ და „ქალი,“ „ოჯახური ფასეულობები“...

ამგვარ სივრცეში საზოგადოების კლასიკური გაგება ნელ-ნელა ქრება, ხალხში დაუცველობის განცდა მატულობს და ადამიანური ფაქტორი უკანა პლანზე იწევს;

ამას ემატება ზოგადად რელიგიისადმი და, კონკრეტულად საქართველოში, მართლმადიდებელი ეკლესიისადმი საზოგადოების გარკვეული ნაწილისა და ზოგიერთი მედია-საშუალების მხრიდან მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება, სიძულვილის ენით მეტყველება, ორგანიზებული სახით პიროვნული და ინსტიტუციონალური დისკრედიტაციის მცდელობის მხარდაჭერა და მათი წახალისება, რომელნიც ამ პროცესში არიან ჩართულნი.

გვახსენდება ბოლო ჟამის შესახებ მოციქულის სიტყვები: „უკანასკნელ ჟამს მოვლენ მკრეხელნი, თავიანთ უკეთურ გულისთქმათაებრ მავალნი; ესენი არიან განხეთქილების მოქმედნი, მშვინვიერნი, სულის არმქონენი... მდრტვინავნი, უკმაყოფილონი, თავიანთ გულისთქმათაებრ მავალნი, რომელთა ბაგენი მედიდურობენ და სარგებლის გამო პირფერობენ“

* * *

დაახლოებით ასეთად აღიქმება თანამედროვე მდგომარეობაც.

სამწუხაროდ, ამ სივრცეში კარგად არავინ არის და ყველას დიდი განსაცდელი აქვს: „ახალი სამყაროს“ წარმომადგენლებს თუნდაც იმიტომ, რომ ტექნიკური პროგრესი იმდენად წინ წავიდა და საზოგადოების სულიერი განვითარება მას იმდენად ჩამორჩა, რომ ინოვაციების დამნერგავი ადამიანი თვითონ დამცირდა თავისი ქმნილების წინაშე და მისგან მართული ხდება. მათ შორის უფსკრული მომავალში უფრო გაღრმავდება და სწორედ ესაა ერთ-ერთი არსებითი პრობლემა, თორემ ტექნიკურ მიღწევებს, რა თქმა უნდა, სიკეთეც მოაქვს, მაგრამ უღვთო და სულიერებისაგან დაცლილი პიროვნებების ხელში იგი სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს.

არც მორწმუნეთათვის არის ცხოვრება ადვილი; მათი გული ბოროტსა და კეთილს შორის სულიერი ბრძოლის ისეთ ასპარეზად იქცა, რომლის მსგავსი უწინ არასოდეს ყოფილა (აღარაფერს ვამბობთ საერთო ეკონომიკურ გაჭირვებაზე, რომლისგანაც ქვეყანა ათწლეულებია ვერ გამოდის).

**გამოსავალი ორივე შემთხვევაში ერთია:**

მთელი არსებით უნდა მივიქცეთ ღვთისკენ – ყოვლადწმინდა სამებისკენ და ჩვენი ცნობიერება მის უზენაესობას დავუმორჩილოთ.

ამასთან, რაკი ღვთისაგან ყველაფერი სიყვარულით და სიყვარულისთვის შეიქმნა, ასეთივე გრძნობით უნდა ვუპასუხოთ შემოქმედს და გარე სამყაროსაც.

აღდგომილი მაცხოვარი, მოციქულ პეტრეს მსგავსად, ნებისმიერ ჩვენგანს მოგვმართავს: „გიყვარვარ მე?“

ამ კითხვას საქართველოში თითქმის ყველა დადებით პასუხს გასცემს, მაგრამ არის რამდენიმე კრიტერიუმი, რომელიც ადვილად მიგვახვედრებს, სინამდვილეში, ვართ თუ არა მართლები.

ჩვენი რწმენის სიმტკიცე და უფლისადმი ერთგულება გამოცდას ჩვენს ცხოვრებაში არსებული განსაცდელებით გადის; ყველაზე მეტად ამ დროს ხდება ნათელი, მართლაც მთელი გულითა და მთელი არსებით გვიყვარს თუ არა უფალი, რაც შემოქმედისადმი ჩვენი ნდობის ხარისხით განისაზღვრება.

მაგალითად, თუ ჩვენ ვლოცულობთ და ვევედრებით უფალს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ ვაღწევთ, გვაქვს კი რწმენა იმისა, რომ ჩვენს თხოვნაზე უკეთესი იქნება ის, რასაც მაცხოვარი მოგვაგებს? და თუ გვაქვს, ე. ი. მინდობილნი ვართ მას და მადლიერებით მივიღებთ ყოველივეს. ამასთან, ამ განწყობამ არ უნდა დაგვტოვოს მაშინაც, როდესაც დიდი ტკივილისა და მწუხარების წინაშე აღმოვჩნდებით.

ამქვეყნად არაფერი არ უნდა იყოს ისეთი, რაზეც, ძლიერი მიჯაჭვულობის გამო, შეიძლება სასოწარკვეთილებაში ჩავვარდეთ. წუთისოფელი წარმავალია და ყოველივეც – მას შინა. ამიტომაც, ცათა სასუფევლის მჭვრეტელი გონება კარგად აცნობიერებს მაცხოვრის სიტყვების სიღრმესა და მნიშვნელობას: „ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი; და ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი.“ (მთ.10,37).

თუ ჩვენ ღმერთს ისეთი სიყვარულით შევიყვარებთ, რომლის გადამწონი ამქვეყნად არავინ და არაფერი იქნება, ჩვენშიც და ჩვენს გარშემოც ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება, ჭეშმარიტი წესრიგი დამყარდება და უფლისაგანაც საოცარ შეწევნას მივიღებთ.

ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო, ჩავიხედოთ ჩვენს გულში და პირუთვნელად შევაფასოთ საკუთარი თავი. თუ მყარი რწმენა არა გვაქვს უფლისადმი, ვთხოვოთ მას დახმარება, როგორც სთხოვა სნეული შვილის მამამ იესო ქრისტეს, რათა შესწეოდა მის ურწმუნოებას და განეკურნა მისი შვილი. უფალმა ისმინა მისი, ორივე სურვილი აღუსრულა და სიხარულითა დიდითა აღავსო იგი (მკ.9,24) .

მსგავსი სიხარულის თანაზიარნი ჩვენც რომ გავხდეთ, ღვთის შეცნობისაკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადავდგათ: ვიკითხოთ წმინდა წერილი, წმინდანთა ცხოვრება და დარიგებანი. ასევე, მუდმივად უნდა ვთხოვდეთ მაცხოვარს, განგვაძლიეროს, და იერემია წინასწარმეტყველის სიტყვებით ვევედროთ: „განმკურნე, უფალო, და განვიკურნები, გადამარჩინე, უფალო, და გადავრჩები, რადგან შენ ხარ ჩემი დიდება“ (იერ.17,14).

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა, და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, ყოველნო ერნო:

ქრისტე აღდგა!

მკვდრეთით აღმდგარი ღმერთი გვიხმობს სამეუფეო გზისკენ, მარადიული დიდებისა და ნეტარებისკენ, მარადიული სიყვარულისა და სიხარულისკენ.

მის შესახვედრად „უწინარეს ყოვლისა იპყარით რწმენის ფარი, რითაც შესძლებთ უკეთურის ყველა ცეცხლოვანი ისრის დაშრეტას“ (ეფ.6.11) და „შეიმოსეთ გულმოწყალება, შემწყნარებლობა, სიტკბოება, სიმდაბლე, სიმშვიდე, დიდსულოვნება; მიუტევეთ და თქვენი თავი მიჰმადლეთ ურთიერთს ... შეიმოსეთ სიყვარული, რომელიც არის სიმტკიცე სრულქმნილებისა. ყველაფერს განაგებდეს თქვენს გულებში მშვიდობა ღმრთისა და მადლიერნი იყავით“... (კოლ.3.12-16). შეირტყით წელზე ჭეშმარიტება და შეიმოსეთ სიმართლის აბჯრით (ეფ.6,12), რათა „დავიმკვიდროთ შეუძვრელი სასუფეველი“ (ებრ.12,28)

გახსოვდეთ, „იესო ქრისტე გუშინ, დღეს და უკუნისამდე იგივეა“ (ებრ. 13.8) და ჟამთა ცვლა მას არ ეხება.

გიხაროდეთ, ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

აღდგომა ქრისტესი,

2021 წელი

## სააღდგომო ლიტურგია დედოფლისწყაროში



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილეებთან, დავით ფხოველიშვილთან და მალხაზ მერაბიშვილთან ერთად სააღდგომო ლიტურგიას დაესწრო.

საზეიმო წირვა დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ ეპარქიის სასულიერო პირებთან ერთად აღავლინა.



# ტურიზმის ახალი სიცოცხლე?!

## პანდემია, ვაქცინაცია და ტურიზმის სფერო სიახლეების მოლოდინში

***უკვე მეორე წელია, რაც პანდემიამ ჩვენი ცხოვრება შეცვალა. მან გავლენა საზოგადოების ყველა სფეროზე იქონია. არ დარჩა სექტორი, რომელმაც კრახი თუ არა უდიდესი ზარალი მაინც არ განიცადა. მათ შორის განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ ტურიზმის სფერო, რომელიც, ფაქტობრივად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი საყრდენი და მამოძრავებელი ძალაა.***

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, აპრილში ქვეყანაში 82 519 საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა. ეს მონაცემი 2020 წლის აპრილთან შედარებით 140.4%-ით მეტია. რაც შეეხება, ბოლო წლების სტატისტიკას ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში, 2019 წლის აპრილში - 549 761 საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა, 2020 წელს კი - 34 321 ვიზიტი. აპრილში საერთაშორისო ვიზიტები TOP 10 ქვეყნის მიხედვით ასეთია:

1. თურქეთი – 21 106 ვიზიტი, ზრდა 2020 წლის აპრილთან – 48%;
2. ისრაელი – 10 098 ვიზიტი, ზრდა – 13 925%;
3. რუსეთი – 8 518 ვიზიტი, ზრდა – 125%;
4. სომხეთი – 8 331 ვიზიტი, ზრდა – 4%;
5. საქართველო (არარეზიდენტები) – 8 253 ვიზიტი, ზრდა – 441%;
6. უკრაინა – 5 922 ვიზიტი, ზრდა – 404%;
7. აზერბაიჯანი – 5 287 ვიზიტი, ზრდა – 107%;
8. უზბეკეთი – 2 711 ვიზიტი, ზრდა – 293%;
9. ყაზახეთი –1 639 ვიზიტი, ზრდა – 285%;
10. ბელარუსი – 1 463 ვიზიტი, ზრდა – 77%;

მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა სამოგზაურო გამოცემამ Nატიონალ ჩეოგრაპჰიც-მა კი, საქართველო, კონკრეტულად კი სვანეთის რეგიონი 2021 წელს მსოფლიოს 25 საუკეთესო მიმართულებებს შორის დაასახელა, რომელსაც ტურისტი პოსტპანდემიურ პერიოდში უნდა ეწვიოს. Nატიონალ ჩეოგრაპჰიც საუკეთესო ტურისტულ მიმართულებებს ყოველი წლის ნოემბერში ასახელებს. პანდემიის გამო წლევანდელი კონკურსის სლოგანია “Dream Now, Go Later.”

25 საუკეთესო ტურისტული მიმართულების შერჩევაში National Geographic-ის გლობალური რედაქტორები იღებდნენ მონაწილეობას. მიმართულებები 5 კატეგორიად არის დაყოფილი: ბუნება, თავგადასავალი, კულტურა, მდგრადობა და ოჯახი.

National Geographic პორტალზე: https://www.nationalgeographic.com/…/best-of-the-world-2021/ წარმოდგენილია სვანეთის ფოტოები და დეტალურად მოთხრობილია რეგიონის შესახებ. „შორეულ, მაგრამ სტუმართმოყვარე სვანეთს 15 ათასი ფუტი სიმაღლის მწვერვალები დაჰყურებს. საქართველოს ჩრდილო-დასავლეთში მდებარე რეგიონი შუასაუკუნოვანი ქვის კოშკებით გამოირჩევა, რომელიც ერთდროულად საცხოვრებელ, ასევე თავდაცვით ზღუდეს წარმოადგენდა. ეს ციხესიმაგრეები იმ ეპოქის დასტურია, როდესაც სვანური ოჯახები პატარა სოფლებში საკუთარი მიწის შესანარჩუნებლად მამაცურად იბრძოდნენ. ერთ-ერთი მათგანია უშგული, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის დაცულ ტერიტორიად არის გამოცხადებული. უშგული ევროპის ერთ-ერთი უმაღლესი დასახლებაა. ერთ დროს კანონის არარსებობით ცნობილი სვანეთი დღეს სტუმარ-მასპინძლობით გამოირჩევა. როგორც მოგზაური მწერალი და ფოტოგრაფი მიხალ გლომბოვსკი ამბობს სვანეთში ქეიფი, სადღეგრძელოები და სასმელები დღიურ წესთა ნაწილია. სვანეთი გამოირჩევა ტრანსკავკასიული სამთო ბილიკებით, ეს არის ამბიციური სალაშქრო ბილიკების ქსელი, რომელიც ერთმანეთთან საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს აკავშირებს. მოლაშქრეებისთვის პოპულარულია 4 დღიანი ტურები მესტიიდან უშგულამდე, სადაც უმაღლეს მწვერვალებსაც ათვალიერებენ.“

საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის აღდგენა, კერძოდ, უცხოელი ვიზიტორების შემოსვლა. 2019 წელს საქართველოში 9.4 მლნ ვიზიტორი შემოვიდა. ამ მაჩვენებელს საქართველო 2021 წელს ვერ დაუბრუნდება. დაახლოებით რამდენი ვიზიტორი შემოვა, რთულად პროგნოზირებადია, რადგან ეს მხოლოდ საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე არაა დამოკიდებული. ქვეყნებში, საიდანაც საქართველოში ვიზიტორების დიდი ნაკადები შემოდიოდა, მძიმე ეპიდემიოლოგიური და ეკონომიკური სიტუაციაა. თუმცა წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის მხრივ 2021 წელი 2020 წელზე უკეთესი იქნება.

გარდა ამისა, მთავრობამ ტურისტული სექტორი ვაქცინაციის პროცესში პრიორიტეტულ ჯგუფად გამოაცხადა. **„პროცესი 6 მაისს, პორტალის გახსნით დაიწყო, სადაც სფეროს წარმომადგენლებს შეუძლიათ რეგისტრაცია, თუმცა როდის დაიწყება ვაქცინაცია, ჯერ უცნობია“** - ამის შესახებ რესტორატორთა ასოციაციის დამფუძნებელმა კოტე გაბრიჩიძემ რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა. მისი თქმით, პროცესი იყო მსჯელობა, რა პრივილეგიები ექნებათ ობიექტებს, რომლის თანამშრომლების 60%-ზე მეტიც აიცრება. **„ტურიზმის სფეროს ვაქცინაცია, ერთის მხრივ განაპირობებს ჩამოსული ვიზიტორების უსაფრთხოებას, მეორეს მხრივ კი უმნიშვნელოვანესია თავად სექტორის წარმომადგენლებისთვის, ჰქონდეთ ჯავშანი, რადგან ისინი პირველები ეკონტაქტებიან ქვეყანაში ჩამოსულებს. საკმაოდ დიდი დარგია და ცხადია დავსვით საკითხი, იქნება თუ არა საკმარისი ვაქცინა. გვეუბნებიან, რომ მიდის სხვადასხვა არხებით მუშაობა და ვაქცინაზე პრობლემა არ იქნება. ბერკეტები რაც შემოგვთავაზეს, იყო საკმაოდ მოქნილი. ჩვენ ჯერ არ ჩაგვიტარებია კვლევა, თუმცა გამოკითხვებით რაც გვქონდა ასოციაციებში, სფეროს მინიმუმ ნახევარი მზადაა აიცრას. ჩვენ ველოდებით მთავრობის მხრიდან და ამაში ჩვენც დავეხმარებით, იყოს აქტიური სარეკლამო კამპანია. დღეს არ ხდება მკვეთრი ინფორმირება და მხოლოდ ჭორები მუსირებს. ჯერ სამუშაო რეჟიმია, მაგრამ არ არის გამორიცხული, ობიექტს, სადაც 60% აიცრება მიენიჭოს ჰოლოგრამა, რომ დაცულია. ჩვენ გვაქვს ძალიან მჭიდრო ვადები აღებული და გვინდა, ზაფხულის სეზონამდე იყოს დიდი ნაწილი აცრილი. მიდის საუბარი იმაზეც, რომ ვაქცინირებულ ობიექტებს ჰქონდეთ შაბათ-კვირის შეზღუდვაზე შერბილება, კომენდანტზე და ა.შ. საბოლოო ვერსიაზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი, ეს პირველი შეხვედრა იყო“,** - განაცხადა კოტე გაბრიჩიძემ „საქმეში“.

ცნობისთვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა ტურისტულ სექტორში მომუშავე ასოციაციებისა და სასტუმროების წარმომადგენლებს შეხვდა. **„საქართველო პირველია რეგიონში, რომელიც აცხადებს, რომ ჩვენი ტურისტული ინდუსტრია ყველაზე უსაფრთხო იქნება“** - განაცხადა შეხვედრაზე ნათია თურნავამ. როგორც ეკონომიკის მინისტრმა ტურისტული სექტორში მომუშავე ასოციაციებისა და სასტუმროების წარმომადგენლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, საუბარია ტურისტულ სექტორში მომუშავე თანამშრომლების დაახლოებით 60%-ზე, რომელიც უნდა იყოს ვაქცინირებული, რომ დაწესებულება უსაფრთხოდ ჩაითვალოს. მისივე თქმით, ასეთ დაწესებულებებს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სარგებელი ექნებათ. მაგალითად, სახელმწიფო მათ საერთაშორისო მარკეტინგულ კამპანიაში მონაწილეობას საკუთარი ძალებით უზრუნველყოფს. **„უწყებათაშორისმა საბჭომ გააჟღერა ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და პრიორიტეტული ვაქცინაციის ჯგუფებს დაემატა ტურიზმის ინდუსტრია. პრაქტიკულად რამდენიმე ქვეყანაა მსოფლიოში, ვინც ამ პრაქტიკას მიმართავს და საქართველო პირველია რეგიონში, რომელიც აცხადებს, რომ ჩვენი ინდუსტრია იქნება ყველაზე უსაფრთხო და მზად არის ვაქცინირებული თანამშრომლებით უმასპინძლოს საერთაშორისო ტურისტებს.** გვქონდა პირველი, ტექნიკური ხასიათის შეხვედრა, სადაც ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები და მინისტრის მოადგილე მონაწილეობდა. ვსაუბრობდით თუ როგორ გავაკეთოთ ეს პროცედურა სწრაფად, როგორ იყოს მეტად კომფორტული და ოპერატიული. **ამ ეტაპზე ჩვენ უკვე ვთავაზობთ სარგებელს ვაქცინირებულ სასტუმროებს და რესტორნებს, როგორიც არის საერთაშორისო მარკეტინგულ კამპანიაში მონაწილეობა ჩვენი ძალებით, თითოეული ასეთი ობიექტის შესახებ ინფორმაცია ძალიან ფართოდ იქნება მსოფლიოში გავრცელებული.** დღეს ტურისტები ეძებენ ასეთ ქვეყნებს, სადაც ტურიზმი არის უსაფრთხო და საქართველო სწორედ ასეთი ქვეყანა იქნება. დღეს დავინახეთ მზადყოფნა, ბევრმა დამსწრე სასტუმრომ თუ რესტორანმა აიტაცა ეს ინიციატივა. **ისინი იმუშავებენ თავიანთ თანამშრომლებთან, კონსულტაციებს ჩაატარებენ, რომ ეს ნებაყოფლობითი პროცესია. მათ ნათლად დაინახეს შესაძლებლობა, რომ გარკვეული სარგებელი გავრცელდეს სწორედ ასეთ უსაფრთხო სასტუმროებზე. იყო საუბარი ისეთ დეტალებზე თუ რამდენი პროცენტი უნდა იყოს ვაქცინირებული, რომ ჩაითვალოს ის უსაფრთხოდ, ასევე წამოვიდა იდეა, რომ თუ შეიძლება პრიორიტეტული ვაქცინირება სურვილის შემთხვევაში გავრცელდეს მათი ოჯახის წევრებზეც, რაზეც ჩვენ აღვუთქვით დახმარება. რეგიონებში ობიექტების მახლობლად იქნება აცრის პუნქტები მოწყობილი, კვალიფიციური პერსონალის დახმარებით. პრაქტიკულად ეს პროცესი იწყება, თითოეული ობიექტი თავად გადაწყვეტს მიიღებენ თუ არა ამ კამპანიაში მონაწილეობას, თუმცა დავინახეთ სერიოზული ინტერესი“,** - აღნიშნა ნათია თურნავამ.



ტურიზმის ასოციაციის პრეზიდენტის ნატა კვაჭანტირაძის განცხადებით, ტურისტი, რომელიც ქვეყანაში დააპირებს მოგზაურობას, ინფორმირებული იქნება, რომ საქართველო კოვიდუსაფრთხო ქვეყნის სტატუსის მატარებელია. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ეკონომიკის სამინისტრომ საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ინიციატივა გააჟღერა: **„კოვიდ უსაფრთხო სტატუსი ტურიზმის ინდუსტრიისთვისა და ქვეყნისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. ტურისტებს ეცოდინებათ ის კოვიდ უსაფრთხო ობიექტები, რომლებიც მასპინძლობას გაუწევენ ჩამოსულ ვიზიტორს. ეს სია განთავსებული იქნება ერთიან პლატფორმაზე. შესაბამისად, პლატფორმაზე იქნება ჩამონათვალი უკვე ვაქცინირებული თანამშრომლების და იმ ორგანიზაციების, რომლებიც თანამშრომლების ვაქცინაციას თვითონ უზრუნველყოფენ. ეს პროცესი უკვე ხელმისაწვდომია და ჩვენ სექტორს ხვალიდანვე შეგვიძლია განაცხადის გაკეთება, რაც ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს მეტ სტიმულს მისცემს იმოგზაურონ ქვეყანაში.**

**რაც შეეხება დეტალურ ბენეფიტებს, ახლა ეკონომიკის სამინისტროსთან მიმდინარეობს საუბარი, თუ რა ფორმით უნდა მიეწოდოს დამსაქმებელს იმისთვის, რომ მან დასაქმებულ პირებს მაქსიმალურად სწორი ინფორმაცია მიაწოდოს. ბენეფიტების სიაც გამოქვეყნდება პლატფორმებზე, ჯერჯერობით, მიმდინარეობს მსჯელობა. უპირატესობა როცა მიენიჭება უკვე ვაქცინირებულ ობიექტებს, ეს იქნება მნიშვნელოვანი ბენეფიტი. ტურისტი როცა ინფორმირებული იქნება ამგვარი ორგანიზაციების შესახებ, პირდაპირ ესტუმრება ასეთი ტიპის რესტორანი იქნება თუ სასტუმრო”, -** განაცხადა კვაჭანტირაძემ.

როგორ იმოქმედებს უსაფრთხო კოვიდ ქვეყნის სტატუსის მოპოვების მცდელობა და როგორ აისახება დაგეგმილი ცვლილებები ქვეყნის ტურიზმზე, ამას წლის მიმდინარეობისას ასახული რიცხვებით შევიტყობთ.

**მოამზადა**
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

# ზემო მაჩხაანში გიორგობა აღინიშნა



6 მაისს გიორგობა აღნიშნეს დედოფლისწყაროში. ზემო მაჩხაანის წმინდა გიორგის ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღავლინა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ.

მართლმადიდებელი ეკლესია 6 მაისს წმინდა დიდმოწამე გიორგის აღსრულების დღეს აღნიშნავს.

წმინდა საკვირველთმოქმედი და ძლევაშემოსილი გიორგი ქართველი ერის მფარველად მიიჩნევა და იგი საქართველოში განსაკუთრებით უყვართ.

წმინდა გიორგი მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. მოგვიანებით, იგი, რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს მმართველობის დროს, მხედართმთავარი გახდა.

ქრისტიანებზე დევნის დაწყების შემდეგ იგი იმპერატორს განუდგა. კერპთაყვანისმცემელმა რომის იმპერატორმა წმინდა გიორგის ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა. მან მრავალი სატანჯველი მოითმინა, მათ შორის - ბორბალზე გაკვრა. წმინდანს 303 წელს, 30 წლის ასაკში, მოკვეთეს თავი. იგი ეკლესიის ისტორიაში შევიდა როგორც ძლევაშემოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი.

წმინდა გიორგი კაბადოკიელის კულტი მთელს მსოფლიოშია გავრცელებული. მას არამარტო მართლმადიდებლები, არამედ ყველა მიმართულების ქრისტიანული აღმსარებლობის მორწმუნეები კათოლიკეები, პროტესტანტები, გრიგორიანელები, მონოფიზიტები სცემენ თაყვანს. წმინდანის შესახებ ცნობები მაჰმადიანთა წმინდა წიგნში - ყურანშიც კი მოიპოვება.

ეკლესია წმინდა გიორგის ხსენებას წელიწადში ორჯერ, 6 მაისს - წმიდანის აღსრულების დღეს და 23 ნოემბერს - მისი ბორბალზე წამების დღეს, დღესასწაულობს.

# „ფიროსმანის სმარტ სტენდი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბლაბმა (ბიზნესინკუბატორი) დიდი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის დაბადებიდან 159 წლისთავს პროექტი – „ფიროსმანის სმარტ სტენდი“ მიუძღვნა.



ალნიშნული პროექტი სტუ-ის ფაბლაბმა თავისი ახალი, ელექტრონული სურათის ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე ცნობით, სტუ-ის ფაბლაბის მიერ შექმნილი ელექტრონული სურათის ტექნოლოგია, მინიმალისტური კომპონენტებით ეფექტური გამოსახულების მიღების საშუალებას იძლევა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბლაბის ხელმძღვანელი გიორგი ფრანგიშვილი აღნიშნავს, რომ ელექტრონული სურათის ტექნოლოგიის გამოყენებით ორიგინალური გამოსახულების დამზადებას ნებისმიერი მსურველი მარტივად



შეძლებს.

„ჩვენი ახალი ტექნოლოგიისთვის გამოვიყენეთ ელექტრომაგნიტური გადაცემა, რითაც ელექტრონული სურათის ტექნოლოგია იმდენად გავამარტივეთ, რომ თავიდან ავიცილეთ ყოველგვარი ზედმეტი დეტალის ჩართვა. „ელექტრონულ სურათს“ ორი მთავარი ფუნქცია მივანიჭეთ - მექანიკური და ელექტროგამტარობა. ვფიქრობთ, ეს ძალიან თანამედროვეა. ნებისმიერი დაინტერესებული პირი, განსაკუთრებით კი სტუდენტები მარტივად შეძლებენ ამ ტექნოლოგიის ათვისებას. მუყაოს, ფანერისა და შუქ-დიოდის ზონარის სინთეზით სასურველი გამოსახულების, ჩანახატისა თუ პეიზაჟის გაცოცხლება ნამდვილად არ არის რთული პროცესი“, - აღნიშნავს გიორგი ფრანგიშვილი.

სტუ-ის ფაბლაბის წევრის, ვაჟა შანიძის თქმით, „ფიროსმანის სმარტ სტენდის“ შექმნის იდეა სწორედ ელექტრონული სურათის ტექნოლოგიაზე მუშაობის პროცესში გაჩნდა: „5 მაისი ფიროსმანის დაბადების დღეა. შევარჩიეთ ხუთი ნახატი, მათ შორის: „მეთევზე“ და „აქტრისა მარგარიტა“. საბოლოო ჯამში, ფაბლაბის სივრცეში შეიქმნა ნიკო ფიროსმანის კუთხე და სხვა ნამუშევრებთან ერთად, ფიროსმანისადმი მიძღვნილმა ამ პროექტმაც საპატიო ადგილი დაიკავა“, - აცხადებს ვაჟა შანიძე.

სტუ ფაბლაბის წევრის, ნიკიტა სამხარაძის ინფორმაციით, ელექტრონული სურათის ტექნოლოგია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბლაბშია შექმნილი. ის ნებისმიერი ნახატის თუ ფოტოსურათის კრეატიულად გამოსახვის საშუალებას იძლევა.

„ამ ტექნოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია განათება და ფერთა გამა, რაც ჩვენი ფაბლაბის გუნდმა მაქსიმალურად დახვეწა. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი ფერის მიღების საშუალება გვაქვს. ჩვენი პირველი ელექტრონული სურათი იყო ძველი თბილისის ქუჩა. ამ ნამუშევარმა დაგვანახა ის დიდი პოტენციალი, რომელიც ამ ტექნოლოგიას გააჩნია. ამ მიმართულებით, ჩვენი პირველი მასშტაბური პროექტი ფიროსმანის ნამუშევრების ელექტრონული ვერსიების შექმნაა. შევძელით ხელოვნებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაცია“, - აღნიშნავს ნიკიტა სამხარაძე.

როგორც სტუ ფაბლაბის წევრი ზაზა გაბესკირია განმარტავს, ელექტრული სურათის ტექნოლოგია არ არის რთული, შედეგი კი მოლოდინს აჭარბებს: „ნამუშევრის ზედა და ქვედა ნაწილებზე, ერთმანეთის პარალელურად თავსდება ე.წ. შუქდიოდური ზონრები (ლენტები), რომლებიც სხვადასხვა ფრად ანათებს. ყველაზე საინტერესო ეფექტი მიიღება სურათის შუა ნაწილში, სადაც განსხვავებული ფერების შერწყმა ხდება. ფერების შერჩევა შესაძლებელია სტუ-ის ფაბლაბში აწყობილი ელექტრული სქემის საშუალებით. იმის გამო, რომ ფერთა გამის შერჩევა ელექტრონულად ხდება, ამ ტექნოლოგიას “ელექტრული სურათი” ვუწოდეთ“, - ამბობს ზაზა გაბესკირია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბლაბი ელექტრონული სურათის ტექნოლოგიას უნივერსიტეტის სტუდენტებსაც უზიარებს, რადგან მიიჩნევს, რომ ამ ტექნოლოგიის აქტიურად და ეფექტურად გამოყენება სტუდენტურ პროექტებშიც შესაძლებელია.

“საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბლაბის ახალი პროექტის - „ფიროსმანის სმარტ სტენდი“ და ელექტრონული სურათის ტექნოლოგიის შესახებ საინტერესო ინფორმაცია იხილეთ სტუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ფილმში”, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

***

ეს „მღებავი“ ნიკალას დახატული აღდგომაა, გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ნიკალას მხატვრად მხოლოდ ვიწრო პროფესიული საზოგადოება თუ აღიქვამდა.



მიხეილ ჭიაურელის კარიკატურამ, ცალსახად დაცინვად რომ მიიღო, მთლიანად დაანგრია სულიერად, საზოგადოებას პროტესტი გამოუცხადა და ყველას და ყველაფერს განერიდა...

ჰოდა აბა რა გასაკვირია, რომ სარდაფში (და არა კიბის ქვეშ) გარდაცვლილი ფიროსმანი ბედნიერ ქართველობას არც მოუსაკლისებია...

ფაქტია, ფიროსმანი მხოლოდ მას შემდეგ გახდა პოპულარული, უცხოელი მხატვრები რომ დაინტერესდნენ... 1968 წელს მისი სურათები ლუვრში გამოიფინა...

ლუვრიდან იწყება ასი წლის წინ აღდგომის ღამეს გარდაცვლილი ნიკალას აღდგომა...

ქრისტე აღდგა, ნიკალა!

შვილი მზია ბილიაშვილი, შვილიშვილი დათო, შვილთაშვილები კესო, რუსუდანი, სიძე დავით იმნაიშვილი, რძალი სოფო ნოზაძე იუწყებიან

ლაურა ახობაძის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 8 მაისს, ქ.დედოფლისწყაროში.

ნათელა ბილიაშვილი ოჯახით იუწყება

ლაურა ახობაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გელა და ვაჟა ბილიაშვილები, სპირიდონ პოპიაშვილი ოჯახებით იუწყებიან

ლაურა ახობაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის შვილს მზია ბილიაშვილს.

# „ნუ მართმევთ სახლს, სადაც ვხვდები ჩემს გარდაცვლილებს“...

## აღდგომა და ჩაკეტილი სასაფლაოები

**უჩვეულო აღდგომა დაუდგა კაცობრიობას. კორონავირუსმა აღდგომის მეორე დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალის გარეშე დატოვა ქართველი კაცი. ქალაქიდან სოფლად დაბრუნებულმა მოსახლეობამ საფლავებზე გასვლა ვერ შეძლო შემოღებული რეგულაციების გამო. მიცვალებულთა მოხსენიების დღე საფლავებზე გაგორებული წითელი კვერცხისა და „პასკის“ მიღმა დარჩა.**

იყო დრო, როდესაც მეც ვაქილიკებდი ჩვენს ამ ჩვეულებას და რიტუალს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბევრმა ახლობელმა დაგვტოვა და იმქვეყნიურ სამყაროში გადაინაცვლა, ჩემთვისაც ორგანულად იქცა აღდგომის მეორე დღეს ჩვენს მიცვალებულებთან ამგვარი კონტაქტი (არ ვგულისხმობ სასაფლაოებზე სუფრის გაშლას და ღრეობას). ეს ერთი შეხედვით მისტიური, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, როდესაც აღდგომას შენს ახლობლებსა და წინაპრებს ულოცავ.

გთავაზობთ ჩვენი კოლეგის წერილს, რომელიც ამ თემას ეხმიანება.

„ნუ მართმევთ სახლს, სადაც ვხვდები ჩემს გარდაცვლილებს“ - ეს ნაირა გელაშვილის საგაზეთო წერილის სათაურია, 1992 წელს წავიკითხე რომელიღაც გაზეთში. წერილი არა - სათაური წავიკითხე და დამამახსოვრდა. შეიძლება, წერილი რომ წამეკითხა, არ ჩამბეჭდვოდა სათაური ასე ბუკვალურად მეხსიერებაში და შეეშალა ხელი იმ სურათის წამოსახვაში, რასაც დღემდე პერიოდულად არა მხოლოდ ვხედავ, მესიზმრება კიდეც:

ტყეში, გვირილებიან მინდორზე დგას შეხვედრების ფიცრული სახლი, ორი მხრიდან ბილიკით და ამ ბილიკებზე ერთმანეთის შესახვედრად გარბიან ცოცხალი და გარდაცვლილი ადამიანები. ჩამოჯდებიან ხის სკამებზე, ჩამოუსხამენ ერთმანეთს ღვინოს, საუბრობენ, იცინიან, ტირიან... მერე, მზის ჩასვლისას, ლანდებივით გაიპარებიან იქეთა ბილიკიდან მოსულები, აქეთები კი აალაგებენ სუფრას, გამოგვიან სახლს და გამოუყვებიან ბილიკს.

რეალურად, არაფერი განსაკუთრებული ამ სურათში არაა - ისაა, რასაც მთელი ბავშვობა ვუყურებდი აღდგომებზე, სოფლის გვირილებით მოჩითულ სასაფლაოზე. უბრალოდ, გელაშვილისეულმა „ნუ მართმევთ“ - სიმძაფრე დამიმატა და ფიქრი დამაწყებინა იმაზე, რომ ეს ნაცნობი სურათი შეიძლება, ერთ დღეს გაქრეს.

მე, როგორც შეგნებულად მონაწილე, ამ იდუმალ კარნავალს ბოლო ათწლეულში შევუერთდი: მას შემდეგ, რაც კარგა ხნის გარდაცვლილ ბებიასთან (მამის დედასთან) აღმოვაჩინე სულიერი ნათესაობა. თურმე ხდება ასეც: შეგნებულ ასაკში გაიცნობ უკვე გარდაცვლილ ბებიას და ასე იპოვი შენი ხასიათის გასაღებების აცმას. ბებიაჩემი რომ არამხოლოდ სოფლის საზომით, საერთოდაც, უცნაური ქალი იყო, ესეც გვიან აღმოვაჩინე და მომეწონა ეს უცნაური ქალი - 12 წლის ასაკში გათხოვილი (4 წელი რომ დედამთილთან ეძინა), 20 წლის ასაკში უცნაურადვე დაქვრივებული. უცნაურად იმიტომ, რომ მისი ქმარი კი არ მოკვდა, უბრალოდ, დაიკარგა (ქერჩში) და იმ დღიდან ბებიაჩემმა მხოლოდ მისთვის გასაგებ რიტუალს მიჰყო ხელი: სამართებლით იპარსავდა თავს - თმა არ უნდა ჰქონოდა თავზე. სხვაგან ისედაც არ ჰქონდა: გლუვი, სლიკინა კანი ჰქონდა სახესა და მთელ სხეულზე. „რომ დავიბადე, ბებიაჩემმა თაგვის ბახარხალე



წამისვა მთელ ტანზეო“ - გვეუბნებოდა და მეგონა, მასხრობდა, სანამ ჩემი ლეჩხუმელი ნათლიისგან არ მოვისმინე იგივე ისტორია ბებიამის გელოვანის ქალზე.

მაგრამ ეს სხვა ისტორიაა და ბებიაჩემი ჩემი წერილის ფიგურანტი მხოლოდ იმ მხრივაა, რომ მე, ცრურწმენებისგან (ვფიქრობ) შორსმყოფი ადამიანი, გარდაცვლილთან ურთიერთობის რიტუალში ჩამითრია, ან, სიმართლე რომ ვთქვათ, ჩავყევი. ჩავყევი იმიტომ, რომ მომეწონა მიზეზები, რის გამოც შეიძლება, უცებ ვთქვა: „ბებია მესიზმრა. ხვალ წავიდეთ“ - და მივდივართ სოფელში. სოფლის შესასვლელში სასაფლაოა, შევრბივარ ბებიაჩემთან: „კალე, როგორ ხარ?“ - ჩამოვუჯდები, აქეთური, იქეთური... მივდივარ მერე ბავშვობის სახლში და უკან წამოსვლისას ისევ ვაღებ სასაფლაოს ჩაჟანგულ ჭიშკარს: „წავედი, აბა, არ მოიწყინო, მალე მოვალ.“ მისტიკის და რეალობის ზღვარი კი ის არის, რომ რამდენჯერაც ბებია მესიზმრა და სოფელში გავიქეცი, აღმოჩნდა, რომ იქ ვიყავი საჭირო: ან დედაჩემს მივუსწარი ასთმის შეტევისას და გადავარჩინე, ან მამაჩემს ვჭირდებოდი გადაუდებლად.

„ნადიმი მკვდრებთან“ - ასე ერქვა ერთი ამერიკელი ჟურნალისტის რეპორტაჟს სააღდგომოდ ქართული სასაფლაოებიდან, რამაც ჯერ გამაბრაზა ისევ ჩვენზე (სასაფლაოებზე ზღვარგადასული ღრეობების გამო), მერე - იმ ჟურნალისტზე, რომელიც გაოცებული იყო მკვდრებთან ერთად სმა-ჭამის რიტუალით (მე თუ მკითხავთ, კიდევ კარგად დაგვინდო იმ წერილში). მერე უკვე აღარც ჩვენზე ვბრაზობდი და აღარც მასზე. არავის ბრალი არაა, რომ გვაქვს დღე, როცა საზღვრები იშლება იმიერს და ამიერს შორის და იმ დღესაც ისეთები ვართ, როგორებიც - სხვა დროს. უბრალოდ, სასაფლაოების ლოკალურ სივრცეებში უფრო მკვეთრად გვიჩანს ცოცხალ-მკვდრებთან ურთიერთობის კულტურაც და უკულტურობაც. სასაფლაოებზეც ისე ვუმოწმებთ ერთმანეთს სუფრებს და ჩაცმულობას, როგორც - სხვა თავშეყრის ადგილებში, ისევე ვეფერებით და ვკამათობთ შექეიფიანებულები, ვღრეობთ, ვჩხუბობთ და ვკლავთ კიდეც ერთმანეთს.

ეს ჩვენი ყოფაა და ლოკაციის შეცვლა ვერ ცვლის რეალობას. მენტალური ცვლილებები ცვლის და შეცვლის.

არ შეიცვლება მხოლოდ ის, რომ ადამიანებს სჭირდებათ თავიანთ მიცვალებულებთან ურთიერთობა. ჩვენი პრაგმატიზმი იქამდე მიდის, რომ ჩვენსავე მკვდრებს ხიდებად ვიყენებთ, ისევე, როგორც მე გამომადგა ბებიაჩემი - შემაჩვია სასაფლაოს. შედეგად - აღდგომის წინა დღეებში, როცა მამაჩემიც მივაბარეთ მიწას, იმ მიწაზე და მის შემოგარენში სახლში ვიგრძენი თავი, რომელიც დავალაგე, დავგავე, ეკალ-ბარდებისგან გავწმინდე და იმდენხანს შემოვრჩი, მხოლოდ ჭოტის კივილმა მამცნო, რომ შუაღამე იყო უკვე და სხვა დროს სასაფლაოზე კი არა, სასაფლაოს სიახლოვესაც შემეშინდებოდა გავლა.

ესაა სახლი, სადაც შევხვდები ჩემს გარდაცვლილებს.

სასაფლაოს მესერზე მოდებული ეკალ-ბარდების გაკაფვაში რიგრიგობით მეხმარებოდა ჩემი ორი უფროსი შვილი, ერთი სპეციალურად ამ დღის გამო დარჩენილი საქართველოში და მეორე - ჩამოსული საფრანგეთიდან. ორივე მათგანი კრემაციას ემხრობა და სხვა დროს ხშირად უთქვამთ, რომ საფლავის იდეა ყველაზე ცუდი იდეაა, რაც კაცობრიობამ მოიგონა.

ახლა კი მდუმარედ, ერთად ვაწყობდით სახლს, სადაც უნდა შევხვდეთ ჩვენს გარდაცვლილებს. უფრო მეტიც: უფროსმა ბიჭმა თარაზოში გაასწორებინა ადგილი, სადაც ბაბუამისის საფლავის ქვა დაიდგა.

ეს გვჭირდებოდა ჩვენ, ცოცხლებს და გვჭირდება.

ამიტომ, როცა აღდგომას საფლავებზე შესვლა აიკრძალა, წინადღით გვიანობამდე დავრჩი ჩვენს სახლში, გვირილა მოვწყვიტე და ჩემს მიცვალებულებთან ერთად ვიმკითხავე: რა ვქნა ხვალ - მოვიდე-არ მოვიდე-მოვიდე...

პასუხი ამ ლექსშია:

ჩვენ, ვინც მივეჩვიეთ
ჩვენს ოკუპირებულ დიდ მიწებზე შეჯარვას,
ჩვენს პატარ-პატარა მიწებზეც შევიჭარებით დღეს.
“აქიდან, აქიდან მოუარე “-
მომაწვამებს მამაჩემი,
“ბებიაშენზე გადმოდი.”
ბაწარს გადმომიგდებს.
“ჰე ჰე ჰეი” - ამოიძახებს და
გუშაგებს გვერდზე გაიტყუებს.
ამასობაში შევალ მე.
კვერცხს გადავაგორებ.
მკლავს გავიხსნი -
ხორცს კბილს დავადგამ.
ჩვენ, შეჯარვას შეჩვეულები,
შევალთ და დავტოვებთ წითელ ანაბეჭდებს -
ჩვენი ერთიანობის უტყუარ ნიშანს,
რომელიც დროსთან ერთად მკრთალდება.
ჩემი ჯერ არ -
ჩემი ჯერ ხასხასა წითელია.

ნანა აკობიძე

---

## ულოცავენ!

## გიორგი პოპიაშვილს!



ჩემო ძვირფასო, ჩემი ოჯახის გვარ-სახელის გამგრძელებელო, ჩემო გიორგი, 6 მაისს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, შენ 6 წლის გახდი. ოქროს დადების დღეს გილოცავ, ჩემო სიხარულო. ჩემს მიერ ნაჩუქარი საყურბეჭედი სულ მუდამ გაგახსენებს შენს ფუძეს და პაპა-ბებიას. უფალმა გაგზარდოს გონიერი, ღონიერი, ბედნიერი და წმინდა გიორგის შემწეობა არ მოგკლებოდეს.

შენი ნაირა ბებია

## მადლიერება!

იზა ბაიდოშვილის გარდაცვალების გამო ოჯახის მწუხარება გაიზიარეს: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა - მადლობა მათ; გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სპეციალისტებმა, სადაც მუშაობდა იზა; ექიმებმა და სამედიცინო დარგის მუშაკებმა, ოჯახის მეგობრებმა, ნათესავებმა, ახლობლებმა, მეზობლებმა, ადამიანებმა საბერძნეთიდან, გაზეთ „შირაქის“ რედაქციამ - მადლობა მათ.

ადამიანებმა თანადგომა გამოხატეს უშუალოდ ან გაზეთის ფურცლებზე, ან დისტანციურად. მადლობა უნდა გადავუხადო მათ, ვინც გაიგო ჩვენი ოჯახის სამწუხარო ამბავი, გულწრფელად განიცადა იგი, თუმცა ვერ შეძლო ოჯახში მოსვლა.

ძალიან ვწუხვარ, რომ უკანასკნელი თხოვნა ვერ შევუსრულე იზას - „ფანჯარა გააღეთ, სუნთქვა მიჭირს“-ო, მე კი ფანჯარა იმიტომ ვერ გავაღე, რომ იგი უკვე ღია იყო. გარედან ჩიტების ჟრიამული და ჭიკჭიკი ისმოდა, შინ კი ცივი სიჩუმე იდგა - 20 აპრილს, გამთენიისას, ხუთის ოც წუთზე იზა ბაიდოშვილი აღარ სუნთქავდა.

დიდი მადლობა ყოველ თქვენგანს თანადგომისთვის, თუმცა უნდა მომიტევოთ გულახდილობა, რადგან ყველაფერი მათ შორის ჩვენი მადლობაც, ამაოებაა - აღარ გვყავს უკეთილშობილესი ადამიანი იზა ბაიდოშვილი, სამწუხაროდ.

**პატივისცემით,** ვახტანგ ბაცაცაშვილის **ოჯახი**

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 10.05 | | სამშაბათი 11.05 | | ოთხშაბათი 12.05 | | ხუთშაბათი 13.05 | | პარასკევი 14.05 | | შაბათი 15.05 | | კვირა 16.05 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 15 ° | 4 ° | 16 ° | 5 ° | 20 ° | 10 ° | 24 ° | 13 ° | 26 ° | 14 ° | 25 ° | 13 ° | 23 ° | 13 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი)
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.